სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №22

თბილისი 2023 წელი

— შესყიდვის საშუალება: გამარტივებული შესყიდვა.

— გამარტივებული შესყიდვის საშუალების სამართლებრივი საფუძველი: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტი.

— შესყიდვის ობიექტის CPV კოდი: 30125100.

ერთი მხრივ **ა(ა)იპ „ოუფენ ნეტი“** (ს/კ: 404497790; მის**:** თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. #6, სართული 7, **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, TRESGE22, ა/ა: GE24NB0330100200165022, office@opennet.ge), შემდგომში — **შემსყიდველი**, წარმოდგენილი მისი დირექტორის მარიამ სულაბერიძის სახით და

მეორე მხრივ **შპს „კა ელ ჯი +“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 404987564; **იურიდიული მისამართი:** ქ. თბილისი. ბალანჩივაძის ქუჩა, N1, **საბანკო რეკვიზიტები:** სს ,,თიბისი ბანკი", ბ.კ: TBCBGE22, ა/ა: GE73TB7495536080100001, **ელექტრონული ფოსტა: sales@klg.ge**, 593757505; 0323553555), შემდგომში — **მიმწოდებელი**, წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია გრძელიშვილის სახით,

შემდგომში — „მხარეები“,

ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

ამ ხელშეკრულებაში გამოყენებულ შემდეგ ტერმინებს, ამავე ხელშეკრულების მიზნებისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.ა) ხელშეკრულების ღირებულება — საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.ბ) დღე, კვირა, თვე — შესაბამისად კალენდარული დღე, კვირა, თვე (თუ შესაბამის ტექსტში სხვაგვარად არ არის დაკონკრეტებული);

1.გ) შესყიდვის ობიექტი — ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული შესასყიდი საქონელი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

ამ ხელშეკრულების საგანია ა(ა)იპ ოუფენ ნეტის ოფისის საჭიროებისათვის 3 ცალი ტონერიანი კარტრიჯის (HP 136A Black Original LaserJet Toner Cartridge) შესყიდვა, ამავე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **525.00 (ხუთას ოცდახუთი)** ლარს.

3.2. ერთი ცალი ტონერიანი კარტრიჯის ღირებულება შეადგენს **175.00 (ასსამოცდათხუთმეტი)** ლარს.

3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

მუხლი 4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. შემსყიდველი ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის გადახდას განახორციელებს საკუთარი სახსრებით.

4.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ფაქტობრივად მიწოდებული შესყივის ობიექტის შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა ან/და სასაქონლო ზედნადები) წარმოდგენის შემდეგ, 10 სამუშაო დღის ვადაში, თანხის მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე ჩარიხცხვის გზით. მიმწოდებლის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები მითითებულია ამ ხელშეკრულებაში. მიმწოდებელზე წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრების შემთხვევაში,

შემსყიდველს უფლება აქვს, შეაჩეროს ანაზღაურება მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს თანხების სრულად დაფარვამდე.

4.4. წინასწარი ანგარისშწორება არ გამოიყენება.

მუხლი 5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. აქტი ძალაში შედის მხარეთა მიერ ბოლო ელექტრონული ხელმოწერის შესრულების მომენტიდან.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი პირია ა(ა)იპ ოუფენ ნეტის ფინანსური მენეჯერი ოთარ ფერაძე.

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადები

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის ძალებითა და ხარჯებით შემდეგ მისამართზე: თბილისი, ჯანო ბაგრატიონის ქ. #6, სართული 7.

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია შესყიდვის ობიექტის სრული რაოდენობა შემსყიდველს მიაწოდოს არაუგვიანეს 2023 წლის 20 თებერვლისა.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება;

7.2.2. შეასრულოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

7.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო ინფორმაცია;

7.3.2 განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

7.3.3 შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.3.4 ისარგებლოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

7.4.2 დროულად, ჯეროვნად, ხარისხიანად, მაღალკვალიფიციურად და სრულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

7.4.3 მიაწოდოს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი;

7.4.4 უხარისხო / ნაკლის მქონე შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ან/და შემსყიდველის მიერ დადგენილ ვადაში აღმოფხვრას შესაბამისი ხარვეზი/ნაკლი (თუკი ეს შესაძლებელია) ანდა უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის ახლით ჩანაცვლება, შემსყიდველის მიერ მითითებული პირობებით;

7.4.5 შეასრულოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

7.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.5.1 მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7.5.2 ისარგებლოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

7.6. ამ მუხლით გათვალისწინებული ერთი მხარის ვალდებულება წარმოშობს მეორე მხარის შესაბამის უფლებას, ერთი მხარის უფლება კი — მეორე მხარის შესაბამის ვალდებულებას.

მუხლი 8. ხარისხი

8.1. მიწოდებული საქონელი უნდა იყოს უნაკლო და საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ სფეროში არსებულ სტანდარტებს.

მუხლი 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით.

9.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

10.2. ხელშეკრულების 10.1 პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ ოუფენ ნეტის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

10.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 11. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

11.1. ხელშეკრულების მე-6 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული ვადების გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.05%-ის ოდენობით. ვადის გადაცილებად ჩაითვლება შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევა, დადგენილ ვადებში უხარისხო / ნაკლის მქონე შესყიდვის ობიექტის მიწოდება ან დადგენილ ვადებში საგარანტიო ვალდებულებების (არსებობის შემთხვევაში) შეუსრულებლობა. შემსყიდველს უფლება აქვს, პირგასამტეხლოს დაკისრება განახორციელოს ხარისხიან, უხარვეზო და ნაკლის არმქონე შესყიდვის ობიექტის მიწოდებამდე, ხოლო მე-8 მუხლით დადგენილი საგარანტიო ვალდებულებების (არსებობის შემთხვევაში) შეუსრულებლობის შემთხვევაში — საგარანტიო ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

11.2. იმ შემთხვევაში თუ, პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველი უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება; აგრეთვე არ აუნაზღაუროს მიმწოდებელს შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულება და მოითხოვოს დამატებით პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

11.3. მიმწოდებელი ვალდებულია დაფაროს პირგასამტეხლო შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

11.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.5. მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შედეგად ერთმანეთისადმი მიყენებული ზიანის გამო.

მუხლი 12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების ან რომელიმე მათგანის მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობა ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორად ითვლება ისეთი ომი, სამხედრო მოქმედებები, მასობრივი არეულობა, ეპიდემია, სტიქიური მოვლენები და სხვა, რომელიც აკმაყოფილებს ყველა შემდეგ კრიტერიუმს:

12.2.ა) არის მხარეთათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოება;

12.2.ბ) არაა დაკავშირებული მხარეთა შეცდომებსა და დაუდევრობასთან;

12.2.გ) არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს;

12.2.დ) მისი თავიდან აცილება ან მისთვის წინააღმდეგობის გაწევა სცილდება მხარეთა შესაძლებლობებს;

12.2.ე) გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომელისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12.4. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

მუხლი 13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეებს წარმოეშვებათ რაიმე ხელისშემშლელი გარემოებები, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

მუხლი 14. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

14.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულებების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

14.4. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის მოწოდება;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.5. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

14.6. მხარე ვალდებულია 14.4. და 14.5 პუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

14.7. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

14.8. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ელექტრონული ბოლო ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 16. სხვა პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია (დამოწმებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპით).

16.2. დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაცემა სხვა მხარისათვის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3. ამ ხელშეკრულების რომელიმე ნორმის/დებულების ბათილობა/ძალადაკარგულობა არ იწვევს სხვა ნორმების ბათილობას/ძალადაკარგულობას.

16.4. ამ ხელშეკრულებით პირდაპირ გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა და სხვა მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის ან/და მის საფუძველზე გამოცემული ნორმატიული ან/და ადმინისტრაციული აქტის მოთხოვნებს, მოქმედებს კანონი, შესაბამისი ნორმატიული ან/და ადმინისტრაციული აქტი.

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველი

Mariam Sulaberidze
Digitally signed by Mariam Sulaberidze
Date: 2023.02.13 18:40:45 +04'00'

მარიამ სულაბერიძე
დირექტორი

მიმწოდებელი

Maia Grdzelishvili
Digitally signed by Maia Grdzelishvili
Date: 2023.02.14 10:06:24 +04'00'

მაია გრძელიშვილი
დირექტორი

ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობა

„გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ, **2023 წლის №22** ხელშეკრულების გაფორმების პროცესში (შპს კა ელ ჯი +) ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და მომწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერებით:

ა(ა)იპ ოუფენ ნეტის დირექტორი — Mariam Sulaberidze — Digitally signed by Mariam Sulaberidze Date: 2023.02.13 18:41:09 +04'00' — მარიამ სულაბერიძე

ა(ა)იპ ოუფენ ნეტის ფინანსური მენეჯერი — Otar Peradze — Digitally signed by Otar Peradze Date: 2023.02.13 15:41:00 +04'00' — ოთარ ფერაძე

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2023 წლის №22 ხელშეკრულების ვიზირება

ა(ა)იპ ოუფენ ნეტის ფინანსური მენეჯერი — Otar Peradze — Digitally signed by Otar Peradze Date: 2023.02.13 15:40:23 +04'00'

ა(ა)იპ ოუფენ ნეტის იურისტი — Shota Kublashvili — Digitally signed by Shota Kublashvili Date: 2023.02.13 13:54:51 +04'00'

ა(ა)იპ ოუფენ ნეტის შესყიდვების მენეჯერი — Nino Chikhladze — Digitally signed by Nino Chikhladze Date: 2023.02.13 13:52:07 +04'00'